სამეცნიერო ჟურნალი – „თსუ ფსიქოლოგია“

სტატიების წარმოდგენისა და გაფორმების წესი

“თსუ ფსიქოლოგია” თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური, საერთაშორისო, ორენოვანი ელექტრონული ჟურნალია, რომელიც ეძღვნება ფსიქოლოგიის სხვადასხვა სფეროს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემებს.

ჟურნალი აქვეყნებს ფსიქოლოგიისა და მომიჯნავე ინტერდისციპლინური სფეროებისთვის რელევანტურ, აქტუალური სამეცნიერო პრობლემების ამსახველ თეორიულ, მეთოდოლოგიურ, ემპირიულ-კვლევით და პრაქტიკაზე ორიენტირებულ სტატიებს. ჟურნალს ჰყავს საერთაშორისო სარედაქციო კოლეგია.

ზოგადი ინფორმაცია

- გამოსაქვეყნებლად მიღებული ყველა სტატია რეცენზირდება, დადებითი რეცენზიის შემთხვევაში განთავსდება ელექტრონულ ჟურნალში.
- წარდგენილი სტატია გაივლის ანონიმურ (double-blind) გარე რეცენზირებას. რეცენზირებას ახორციელებენ საქართველოსა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში მოღვაწე მეცნიერები, რომელთა კომპეტენცია და აკადემიური ინტერესები შეესაბამება სარეცენზიო სტატიის თემატიკას.
- სტატია მიიღება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- სტატია ქვეყნდება ორიგინალის ენაზე. ქართულ ენაზე შესრულებული სტატიის შემთხვევაში სტატიის სახელწოდება, ავტორის შესახებ ინფორმაცია, აბსტრაქტი და საკვანძო სიტყვები აუცილებლად უნდა იქნეს წარმოდგენილი ორივე ენაზე (ქართულად და ინგლისურად);
- ჟურნალის ერთ ნომერში შესაძლებელია გამოქვეყნდეს ერთი ავტორის მხოლოდ ორი სტატია.
- წელიწადში გამოიცემა ჟურნალის ერთი ნომერი.
- სტატიების რეცენზირებას, ექსპერტიზას და გამოცემას აფინანსებს თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. ავტორებისათვის პუბლიკაცია უფასოა.

სტატიის გაფორმების წესი

- WORD.docs ფორმატი, ფურცლის ზომა - A4.
- ქართულენოვანი ტექსტის შრიფტი: UNICODE-შრიფტი – Arial Geo; ინგლისურენოვანი ტექსტის შრიფტი – Times New Roman.
- შრიფტის ზომა - 12. სტრიქონებს შორის მანძილი - 1. აბზაცის პირველი სტრიქონის დაშორება - 1სმ. დაშორება ფურცლის მარცხენა და მარჯვენა კიდიდან - 2სმ, ზედა არე (კოლონტიტული -header) – 1სმ, ქვედა არე (კოლონტიტული - footer) – 1,3სმ.

- სტატიის ტექსტში სიტყვების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ინგლისურად 3500 სიტყვას, ქართულად - 4500 სიტყვას (აბსტრაქტის, საკვანძო სიტყვების, პერსონალური ინფორმაციისა და ბიბლიოგრაფიის გარეშე).
- სტატია შესრულებული უნდა იყოს ენობრივი ნორმების დაცვით. ტექსტში არ უნდა იყოს გრამატიკული შეცდომები.
- ციტირება და ბიბლიოგრაფია – ციტირება და ბიბლიოგრაფია გაფორმებული უნდა იყოს APA-ს სტილის მიხედვით. ავტორებმა უნდა გამოიყენონ Microsoft Word-ის ბიბლიოგრაფიის მართვის ან ბიბლიოგრაფიის მენეჯმენტის პროგრამები (მაგ. Zotero, RefMan, Endnote, JabRef). ბიბლიოგრაფია უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან. არ უნდა მიეთითოს გამოუქვეყნებელი ნაშრომები (დაცული დისერტაციების გარდა).

სტატიაში წარმოსადგენი ინფორმაცია

სტატიის თემატური კატეგორიები: პირველი გვერდის პირველ სტრიქონში მიუთითეთ ერთი ან ორი რუბრიკა ჩამოთვლილთაგან.

- თეორია და მეთოდოლოგია
- ემპირიული კვლევები
- ინტერდისციპლინური კვლევები
- სამეცნიერო სიახლეები, რეცენზიები, გამოხმაურება

- სტატიის სათაური (ცენტრირებული, გასქელებული (Bold), ზომა14)

- ინფორმაცია ავტორის (თანაავტორების) შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე: გვარი და სახელი (ცენტრირებული, ზომა 12); ორგანიზაციის დასახელება და მისამართი (ცენტრირებული, ზომა 10);

- აბსტრაქტი – სიტყვების რაოდენობა: 800-1000 სიტყვა (თითოეულისათვის). (დაშორება მარცხნიდან - 2სმ, დახრილი (Italic), ზომა 11). გთხოვთ მოერიდოთ აბსტრაქტში ციტირების გამოყენებას.

- საკვანძო სიტყვები – 4-5 საკვანძო სიტყვა. (დაშორება მარცხნიდან = 2სმ, დახრილი (Italic), გასქელებული (Bold), ზომა 12).

- სტატიის ტექსტი დაყავით აბზაცებად და ნაწილებად.

- თუ სტატია შეიცავს ნახაზებს ან ნახატებს, აუცილებელია: ნახაზი მოათავსეთ შესაბამისი ტექსტის გვერდით; დოკუმენტის გადაფორმატების შემთხვევაში ნახაზი უნდა მისდევდეს ტექსტს; ნახაზს უნდა ჰქონდეს წარწერა; ნახაზი უხარვეზოდ უნდა აისახებოდეს ეკრანზე (გარჩევისუნარიანობა 96-150 dpi).

- სტატიის ბოლოს მიუთითეთ სტატიაში მოყვანილი სურათების რაოდენობა, დიაგრამების რაოდენობა და ცხრილების რაოდენობა.

სტატიის წარდგენა

სტატიის წარდგენა ხდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ელ–ფოსტა: tsu.psychology@tsu.ge. ავტორმა სათაურის ველში უნდა მიუთითოს გვარი, სახელი და სტატიის სახელწოდება.